№2169 2015 წლის 7 ოქტომბერი ქ. თბილისი

ცაგერის მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, უფლება მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტს, 2015 წლის 28-29 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო შესყიდვები განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის №1381 განკარგულების საფუძველზე გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი ეკონომიის, 14 001 (თოთხმეტი ათას ერთი) ლარის ფარგლებში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**